შემოსავლების
სამსახური

# ბრძანება N 12293

17/04/2015

**ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე**

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის #996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს „სოფო 24"-ის (ს/ნ 445434726) მიმართ გამოცემული 2015 წლის 18 თებერვლის N4584 ბრძანების და 2015 წლის 19 თებერვლის N081-23 „საგადასახადო მოთხოვნის" კოდექსით დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელისათვის საჯარო შეტყობინებების მიზნით განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს „სოფო 24"-ის (ს/ნ 445434726) მიმართ გამოცემული 2015 წლის 18 თებერვლის N4584 ბრძანება და 2015 წლის 19 თებერვლის N081-23 „საგადასახადო მოთხოვნა" გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ შპს „სოფო 24"-ს (ს/ნ 445434726) მიმართ გამოცემული 2015 წლის 18 თებერვლის N4584 ბრძანების და 2015 წლის 19 თებერვლის N081-23 „საგადასახადო მოთხოვნის" შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საბაჟო დეპარტამენტის უფროსის N36302-21-10, 23.03.15 წ. სამსახურებრივი ბარათი.

გიორგი თაბუაშვილი

შემოსავლების სამსახურის უფროსი